



TBILISI.GOV.GE

თბილისის მერია

ქ. შარტავას ქ. №7

182

სარეგისტრაციო ნომერი:

07/1544687

თარიღი:

18.11.11.

ქალაქა თბილისის მერს

ბ-ნ გ.უიგულავას

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მერიამ 2011 წლის 23 სექტემბერს გამოაცხადა ტენდერი თბილისში, გამარჯვების პარკის ტერიტორიაზე მედიათეკის აშენების მიზნით (სატენდერო განცხადების №SPA110024703). 2011 წლის 17 ოქტომბერს შეწყდა განცხადებების მიღება, ხოლო 2011 წლის 3 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება შპს "გონთან", რომელსაც დაევადა მედიათეკის შენობის აშენება მითითებულ ტერიტორიაზე.

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის" მიხედვით "გამარჯვების პარკი"-ს ტერიტორიას მინიჭებული აქვს სარეკრეაციო ზონის (რზ-2) სტატუსი. რაც ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" მე-19 მუხლის ნიშნავს, რომ "სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს, სადაც ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები.

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,2“ შარეკრეაციო ზონა 2-ში დასაშვებია შემდეგი ობიექტების ფუნქციონირება:

- პარკი;
- ბაღი;
- სკვერი;
- ბულვარი;
- დეკორატიული გაფორმების ობიექტი;
- მცირე არქიტექტურული ფორმები: საპარკო პავილიონი, როტონდა, ფანჩატური,

ინდიკანტი: საქართველოს კულტურის მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული ცენტრი
საქართველო;

სამაყურებლო ობიექტი (ესტრადა, ამფითეატრი, საგამოფენო დარბაზი, ღია და გადახურული კინოთეატრი);

სპორტულ-ფიზკულტურული ნაგებობა (სტადიონი, სათამაშო მოედანი, სპორტდარბაზი, ღია და დახურული სადღერაო აუზები);

სათამაშო ავტომატების დარბაზი, საბილიარდო, კაზინო და ა.შ.;

ზოოპარკი;

კაფე, რესტორანი;

სასკოლო და სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზებული დაწესებულებები;

სამეურნეო ობიექტი და მისი ფუნქციონერებისთვის განკუთვნილი ადმინისტრაციული შენობა, საყოფაცხოვრებო სათავსები, სახელოსნოები, გარაჟები და საწყობები);

საკულტო შენობები და ნაგებობები;

ღია მიწისქვეშა ავტოსადგომები.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი 2007 წლის 1 ოქტომბრის №3/181 ბრძანებით "ამარჯვების პარკი" წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

ხოლო ამავე კანონის 22-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ: " ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში - ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (რომელიც) განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებას. "

2011 წლის 9 ნოემბერს შედგა ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომა, რომელმაც თავისი 43-ე ოქმით მისცა თანხმობა "ქ.თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონში ილ.ჭავჭავაძის გამზირის №76-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი № 01.14.10.002.049) მედიათეკის (სამაყურებლო, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვება) ქალაქმშენებლობითი პირობებისა და სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე"